



ერთსულოვნება

№2 28 დეკემბერი 2012 – 4 იანვარი 2013

დამოუკიდებელი გაზეთი

**2013 წლის 4 იანვარს, 13 საათზე, ავლაბარში
პრეზიდენტის რეზიდენციასთან, ქალაქებსა და
რაიონებში გამგებობებთან, ვიკრიბებით
პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით!
ღირსება აქვს იმ ხალხს, რომელიც იცავს
თავისი ქვეყნის კონსტიტუციას და იმ
მოთხოვნას, რომ პრეზიდენტი აირჩევა
ხუთი წლის ვადით.**



**რეზო ჩხეიძე: მე, 86 წლის კაცი, ვიქნები
იმ ადამიანთა უორის, რომლებიც მივლენ
ოთხ იანვარს პრეზიდენტის
რეზიდენციასთან ავლაბარში**

**დიდი ერთობის ბარეზე ქვეყანაში
ფიქციო ვერ დაისაღებურებს.
ვივმართავთ ყველას და ჩვენ თვითონვე
ვდგამთ პირველ ნაბიჯს კალთა
კონსოლიდაციისათვის**

ჩვენ, პრეზიდენტის გადადგომით გაერთიანებულ მემორანდუმში წარმოდგენილი
ორმოცდაათამდე ორგანიზაცია პატივისცემით მივმართავთ ყველა პოლიტიკურ პარტიას,
არასამთავრობო სექტორს და საქართველოს მოსახლეობას და ვდგამთ პირველ ნაბიჯს იმ
ძალთა კონსოლიდაციისათვის, რომელთაც შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი
პრეზიდენტის გადადგომაში მიაჩნიათ.

ჩვენ მზად ვართ ვითანამშრომლოთ ნებისმიერ პოლიტიკურ ძალასთან, არასამთავრობო
ორგანიზაციასთან, მოქალაქეთა გაერთიანებებს რომელიც იზიარებს, რომ პრეზიდენტის
უფლებამოსილება მთავრდება 2013 წლის 20 იანვარს.

ჩვენ ვთვლით, რომ ეს პროცესი უნდა იყოს საქართველოს მოსახლეობის ნების
გამომხატველი, მშვიდობიანი და დემოკრატიული და ადასტურებდეს, რომ ეს არის ბრძოლა
ღირსებისათვის.

მოგინოდებთ! 2013 წლის 4 იანვარს 13:00 საათზე პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციაში
ყველამ ერთად წარვადგინოთ ხალხის მოთხოვნა ულტიმატუმი და ამით დავეხმაროთ
მიხეილ სააკაშვილს მიიღოს გადაწყვეტილება, რომელიც კონსტიტუციურად არის მართალი,
ხოლო ქვეყნისთვის ღირსეული.

ერთსულოვანი საპროტესტო მუხტი შედეგს გამოიღებს და სააკაშვილი ვეღარ შეძლებს
თვითნებურად გაიხანგრძლივოს ვადა 2013 წლის ოქტომბრამდე, თვითნებურად დაითხოვოს
მთავრობა და პარლამენტი.

პრეზიდენტის გადადგომის მემორანდუმით გაერთიანებული 50 ორგანიზაციის სახელით
რეზო ჩხეიძე, რეზო ამაშუკელი, მიხეილ ანდლულაძე, თეიმურაზ შაშიაშვილი, ელ-
გუჯა ბურდული, რეზო ძოძუაშვილი, ვლადიმერ ბარქაია, მანუჩარ მაჩაიძე, ვახტანგ
ტატიშვილი, ნიაზ ბოლქვაძე, ზაზა ხატიაშვილი, იური ვაზაგაშვილი, ლაშა ჩხარ-
ტიშვილი, ნუგზარ კახნიაური, ავთანდილ იოსელიანი, ფერდინანდ ლორთქიფანიძე, რა-
მაზ ყურაშვილი, ნათია ავსაჯანიშვილი, ანზორ ბაბუხაძია, თმარ მხეიძე, ილია პატა-
შური, გიზო შარვაშიძე, მარინა კაჭაშვილი, ვასილ კადენეცი, გიორგი გაგლოვი, შოთა
ზოიძე, დედა ნაცვალაძე, ედიშერ რევიშვილი, გულიკო გაბაიძე, დავით თევდორაძე,
თეიმურაზ კვარაცხელია, ალექსანდრე კობაიძე, ნინო ჩხობაძე, გიორგი ყორჭოლიანი,
ნიკოლოზ მჭავანაძე, გურამ ჩხაიძე, გიორგი ახმეტელი, ირაკლი გიორგაძე, ნუნუ მუმ-
ლაძე, შოთა ჩხეიძე, ტიტე ლეფსაია, ნანა შარაშიძე, თამარ სამსონიძე, მარინე გოშაძე,
ფრიდონ ინჯია, გიორგი შერვაშიძე, ავთანდილ უნგიაძე, გიგლა ბახტაძე, ზაზა პატარა-
ვა, ბაგრატ გიორგაძე, ნოდარ ჩხეიძე, ამირან მაშუღაძე.

ულტიმატუმი

**პრეზიდენტ
საკაშვილისადმი
საქართველოს ხალხის
უნდობლობის
საფუძვლები:**

საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების
განხორციელებისას, მიხეილ სააკაშვილმა, ნაცვლად
იმისა, რომ ემოქმედნა ქართველი ერისა და სახ-
ელმწიფოს ინტერესების შესაბამისად, კეთილსინ-
დისიერად აღესრულებინა საქართველოს პრეზიდენტის
მოვალეობა და ყველაფერი ეღონა საქართველოს კონ-
სტიტუციის, ტერიტორიული მთლიანობისა და ადამიან-
ის უფლებების დასაცავად, თავისი კონსტიტუციური
ფიცის გატეხით შერყვნა პრეზიდენტის სამსახურის
ღირსება და ძირი გამოუთხარა მისდამი ხალხის
ნდობას, რაც გამოიხატება შემდეგით:

გაგრძელება მე-3 გვ.

დაე აღსრულდეს ხალხის ნება!

არ ბააკეთებთ თქვენ, ამას ბააკეთებს ხალხი!

სიტყვა, რომელიც ბატონ რეზო ჩხეიძეს უნდა წარმოეთქვა საქართველოს პარლამენტის ტრიბუნალზე

მოგესალმებით ბატონო და ქალბატონო!

მოგესალმებით ბატონო თავმჯდომარე! მოგესალმებით მთელ საქართველოს და ვულოცავ ნიკოლოზობის დღესასწაულს. მინდა დიდი მადლობა მოგასხვებით თქვენს წინაშე გამოხატვის შესაძლებლობისათვის.

თქვენდამი პატივისცემის ნიშნად ჩემი გამოსვლა წერილობით შევადგინე. ნიშნავლობდა, რომ ჩემი დღევანდელი გზა ამ ტრიბუნალზე დაიწყო პარტიის მიერ ნაკურთხი ადგილიდან, სადაც თბილისის ამჟღავნებდა წმიდა ღვთისმშობლის მხარეს და ახლა თქვენს წინაშე ვდგავარ იმ ადგილას, სადაც სამი წლის წინ იდგა „ქართულ ბიბლიად და ფილოსოფიურ ტრანსპარენციის“ წოდებული – „დიდების მემორიალი“.

სამწუხაროა რომ ერთი გადაიტანეს ქალაქის გარეუბანში, ხოლო მეორე, ნიკოლოზობის დღეს ასევე თქვენს უდაბნოში დგას-შვილის მსხვერპლი მოკვდა.

მე ვთხოვთ, რომ წუთიერი დუმილით, პატივი მივაგოთ მათ და ქართული მხედრობის დიდებისათვის თავდადებულ გმირთა სხეულებს.

გამადლობთ!

მე მოვედი იმ განწყობის განხილვად, რაც დღეს ხალხში სულდგმულობს და მოვედი არა უბრალოდ როგორც რეზო ჩხეიძე, არამედ, როგორც ხალხის აზრის თქვენამდე მომტანი. ხალხი კი, ბატონო, გაკვირვებისაგან გმინავს.

პირდაპირ გეტყვით, ბოლო რამდენიმე ათწლეულია პრაქტიკულად ხალხი და ქვეყანა ქვირტა პოლიტიკოსებს და მათი სავარძლებისათვის ბრძოლას.

პარადოქსია, რომ საქართველოს პოლიტიკოსთა ერთი ნაწილი ამტკიცებს, რომ ქვეყანა აყვავდა და აშენდა, ხოლო მეორე ნაწილი ფიქრობს საპირისპიროს. არადა ხალხი ხელავს და გრძობს რომ ქვეყანაში მდგომარეობა საგანგაშოა.

როცა პრეზიდენტი აცხადებს პრეტენზიას საჯარო ურთიერთობების კატორხობაზე და ამავე დროს ბრძოლაში საქართველოს მოიხსენიებს, როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველაზე წარმომადგენელი და კორუპციულ ქვეყანად, რასაც ამტკიცებს რომ ამიტომ აუცილებლად მიიხრევა ქართველი ხალხის მეტაფორულად შეცვლას – ეს სერიოზულ შემოფთობას იქვეს.

გულწრფელად მინდა გითხრა, რომ როგორც ქართველს და ამ ქვეყნის შვილს მიჭირს იმის დაჯერება, რომ ეს ჩვენმა თანამემამულემ და მით უფრო ქვეყნის პრეზიდენტმა თქვა. მაგრამ სამწუხაროდ ეს სინამდვილე და ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ქვეყნის პრეზიდენტი და მთავარსარდალი ქვეყნისა და ხალხის ოპოზიციაშია.

ეს ყოველი დაუშვებელია. სწორედ ეს ბრძანა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, რომ ქვეყნის პრეზიდენტი არ შეიძლება იყოს ოპოზიციაში.

პირველ ოქტომბერს, უშიშარმა და ბრძენმა ხალხმა სძა მისცა თავის მომავალს, დაიბრუნა მამული და პოლიტიკოსებმა კიდევ არ უნდა დააპრეზენტი მათი მონაპოვით.

დარწმუნებული ვარ, ზოგიერთი თქვენგანი არ გაიხიარებს, ეხლა რასაც ვიტყვი, მაგრამ დაბრუნებით და სრული რწმუნებით ვიმტობ, რომ ქვეყანაში ნამდვილი და ჭეშმარიტი ოპოზიცია ხალხია.

ხალხი თვლის, რომ კოალიცია „ქართული ოცნების“ პროგრამა მომავლის საქართველოს პროგრამაა, რომლის განხორციელება მხოლოდ საერთო ნებით შეიძლება და არა ნასაფრებით, როგორც ეს რეალურად ჩანს ქართულ პოლიტიკურ სივრცეში. ამ პროგრამის შესრულების კონტროლს ხალხი თავად განახორციელებს.

ბატონო, ჩვენ თითოეულ თქვენთაგანთან წინაშე და ვახტით მოვედით. წინაშე „დაუჯერებელი სინამდვილე“, ასახავს დიდების მემორიალის ისტორიას, მისი განხილვად აფეთქებამდე. ეს წინაშე ბევრ რამეზე დაგაფიქრებთ.

სოლო გავხუთი „ერთსულსებნა“ რომელიც გამოიცა „გაერთიანების მემორიალში“ წარმოდგინილი ოცდაათი საზოგადოებრივი ორგანიზაციის მიერ, სვამს კითხვას, რომელსაც ან თქვენ უნდა გაცხადოთ პასუხი, ან ამას ხალხი თავად გააკეთებს.

საკითხი უაღრესად პრინციპულია. საქართველოს კონსტიტუცია ცალსახად და კონკრეტულად ამბობს: საქართველოს პრეზიდენტი არჩევა ხუთი წლის ვადით. ხუთი წელი არჩევნიდან ვადის 2013 წლის ხუთ იანვარს, ხოლო ინაუგურაციიდან – ამავე წლის ოც იანვარს. საქართველოში, პრეზიდენტმა მისი საქმიანობის უფლებამოსილება ხალხთან შეუთანხმებლად, არაკონსტიტუციურად, რეფერენდუმის გარეშე, თითქმის ერთი წლით გაიხანგრძლივა!

ეს, მართლაც პარადოქსია! ხომ არ შევდივართ საკონსტიტუციო ჩიხში?

მე ვარ იმ ადამიანთა შორის, ვისაც მიანიდა, რომ პრეზიდენტის საპრეზიდენტო უფლებამოსილება იანვარში იქნებოდა.

პირდაპირ გეტყვით, ერთ თვეში მწორი ორგანიზაციული და ფინანსური რესურსების პირობებში, სამასი ათასზე მეტმა

ამომრეველმა, მოაწერა ხელი იმ დოკუმენტს, რომელიც ითვალისწინებს პრეზიდენტის ვადის ამოწურვამდე მის გადადგომას, რამეთუ ვადის გასვლის შემდეგ კონსტიტუცია არ განსაზღვრავს მის უფლებამოსილებას, არადა მას უფლება არა აქვს ხუთ წელზე მეტი ხნით იყოს ქვეყნის პრეზიდენტი, აბა ვინ ინდა დაინიშნოს საპრეზიდენტო არჩევნები.

ჩვენ ამ განცხადებამ კი არ უნდა დაგვაპირისპიროს ერთმანეთში და მით უფრო ხალხთან, პირიქით ჩვენ უნდა დავეხმაროთ პრეზიდენტს, რომ მან მიიღოს ის გადაწყვეტილება, რომელიც ერისა და ქვეყნისათვის არის მნიშვნელოვანი და იგი უნდა გადადგეს.

გულახდილად მინდა გითხრა, მე ვიქნები იმ ადამიანთა შორის, რომლებიც მივლენ ოთხ იანვარს პრეზიდენტის რეზიდენციაში ავლაბარში და პირდაპირ მოითხოვთ მის გადადგომას.

დარწმუნებული ვარ, რომ შინაგანად ყველა თქვენთაგანი მიჭერს მხარს, იმაში, რომ ქვეყნისთვის დასაუყვებელია ორხელისუფლებიანობა, პრეზიდენტის ოპოზიციონერობაც და კონსტიტუციური ჩიხიც.

ხალხის განწყობაც ეს არის: უნდა დამთავრდეს ორხელისუფლებიანობა, უნდა დამთავრდეს პოლიტიკოსთა პარპაში და ქვეყანაში იყოს მხოლოდ ერთი ძალაუფლება – ჩიხისა და ხეობის ძალაუფლება.

მე აქ მოვედი იმიტომ, რომ გითხრა ხალხის აზრი, თქვენ შეგიძლიათ ამის გაკეთება. არ გააკეთებთ თქვენ, ამას გააკეთებს ხალხი!

რეზო ჩხეიძე
კინორეჟისორი, მშვიდობის მსოფლიო ელჩი

ტიქსტი დარეგისტრირებულია

მიმართვა განმარტებისათვის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს ბატონ ბიორგი პაპუაშვილს

ბატონო ბიორგი,

გდასტურებთ პატივისცემას და პრეზიდენტის გადადგომის მემორიალში გაერთიანებული 34 ორგანიზაციის (სია თან ერთვის) სახელით მოგმართავთ ამ წერილით და ვითხოვთ საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებას პრეზიდენტის უფლებამოსილების გასვლის თარიღთან დაკავშირებით.

საქართველოს კონსტიტუციაში 2004 წლიდან დღემდე შევიდა 143-ზე მეტი კონსტიტუციური ცვლილება, რომელთაგანაც 32 უნდა ამოქმედდეს 2013 წლის ოქტომბრის თვეში მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან.

კონსტიტუციაში ასეთი რაოდენობის ცვლილებების შეტანა არ ახსოვს არც ერთი ქვეყნის ისტორიას. ამ ცვლილებების ანალიზის საფუძველზე ერთადერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება: ის მიმართულია ერთი პირის, საქართველოს პრეზიდენტის მიხედვით სააკაშვილის ხელში მთელი ძალაუფლების უხურავისაკენ.

2013 წლის ოქტომბრის თვიდან, როდესაც საქართველოს ახლადარჩეული პრეზიდენტი ფიცს დადებს, პრეზიდენტს უფლებები მნიშვნელოვნად ეზღუდება პრემიერის სასარგებლოდ. ამგვარად, შედგენილი საქართველოს კონსტიტუცია თითოეულ დასაბუთებულ მიხედვით სააკაშვილის ხრახვებს, ანუ გზას პუტინისაზიასკენ; კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებებით ნათლად დასტურდება მიხედვით სააკაშვილის მიზანი: 2012 წლის პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში ნაციონალური მოძრაობის გამარჯვება და 2013 წლის ოქტომბრის თვიდან მისი პრემიერ-მინისტრობა. ამ იმედით მან კონსტიტუციის საშუალებით მომავალი პრეზიდენტის ძალაუფლება შეასუსტა.

მიხედვით სააკაშვილის დიქტატით შექმნილმა კონსტიტუციამ ქვეყანა ჩიხში შეიყვანა: კონსტიტუციის პრეამბულაში ჩაწერილია, რომ „ქართველი ერის მრავალსუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის, ტრადიციებისა და საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ისტორიულ სამართლებრივ მემკვიდრეობაზე დაყრდნობით ღვთისა და ქვეყნის წინაშე ვაცხადებთ ამ კონსტიტუციას“. პრეამბულაში ჩაღებული დოქტრინა აშკარად ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის უპირობადეს პრინციპებს. მათ შორის ერთ-ერთი უპირობადესია ის, რომ საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია საერთოდ არ იცნობს პრეზიდენტის ინსტიტუტს. ამჟამად მოქმედ კონსტიტუციაში კი პრეზიდენტის ინსტიტუტი ინსტიტუციონალიზირდა და დაშვებული და პრეზიდენტს განუსაზღვრელი უფლებები აქვს მინიჭებული.

პარადოქსული და კოლიზირია საქართველოს კონსტიტუციის 70-ე მუხლის პირველი და მე-9 პუნქტები. პირველ პუნქტში ვკითხულობთ: „**საქართველოს პრეზიდენტი არჩევა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭის ყრით ხუთი წლის ვადით.**“ მე-9 პუნქტში კი ვკითხულობთ: „პრეზიდენტის მორიგი არჩევნები ტარდება პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდარული წლის ოქტომბერში. არჩევნების თარიღს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი არჩევნებამდე არაუგვიანეს 60 დღისა“.

საქართველოს პრეზიდენტად მიხედვით სააკაშვილი საქართველოს მოსახლეობამ აირჩია 2008 წლის 5 იანვარს ხუთი წლის ვადით. მისი საპრეზიდენტო უფლებამოსილება საქართველოს კონსტიტუციის 71-ე მუხლის საფუძველზე დაიწყო მის მიერ ფიცის დადებისთანავე, ანუ 2008 წლის 20 იანვარს და იჭურება 2013 წლის 20 იანვარს. საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის პირველი ნაწილი „საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი. სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება კონსტიტუციით ხელდასმულ ფორმებში“. მიხედვით სააკაშვილს ხალხმა (ამომრეველებმა) პირდაპირ მიანიჭა საპრეზიდენტო უფლებამოსილება ხუთი წლის ვადით. არავის არა აქვს უფლება, მათ შორის არც პარლამენტს, პრეზიდენტს გაუგრძელოს უფლებამოსილება.

საქართველოს კონსტიტუციის 70-ე მუხლის მე-9 პუნქტის, როგორც მივითითებ, „**პრეზიდენტის მორიგი არჩევნები ტარდება პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდარული წლის ოქტომბერში. არჩევნების თარიღს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი არჩევნებამდე არაუგვიანეს 60 დღისა.**“ აღნიშნული ცვლილება საქართველოს პარლამენტმა კონსტიტუციაში შეიტანა ისე, რომ ამ საკითხზე რეფერენდუმი არ ჩატარებულა. რაც იმას ნიშნავს, რომ პარლამენტმა მითვისა ხალხის ექსკლუზიური უფლება და პრეზიდენტს პრეზიდენტობის ვადა ფაქტობრივად გაუგრძელა ცხრა თვემდე, რაც კონსტიტუციის მე-5 მუხლისა და 70-ე მუხლის პირველი ნაწილის უხეშ დარღვევას წარმოადგენს.

ხუმორული ფაქტიდან გამომდინარე თუ კი მიხედვით სააკაშვილი გააგრძელებს და განახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლით გათვალისწინებულ პრეზიდენტის უფლებამოსილებას, ეს ნიშნავს საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-9 პუნქტის დარღვევას, რომლითაც „**არავის არ აქვს უფლება მითვისოს, ან უგანონოდ მოიპოვოს ხელისუფლება.**“

დღესათვის ფაქტია, რომ მიხედვით სააკაშვილი ცდილობს გააგრძელოს საქართველოს პრეზიდენტობა 2013 წლის 20 იანვრის შემდეგაც. ამით ის ქვეყანას უფროდ საკონსტიტუციო ჩიხში შეიყვანს. ჩვენი აზრით, ერთადერთი გამოსავალია ის, რომ 2013 წლის 20 იანვრამდე პრეზიდენტი ნებყოფლობით გადადგეს, ან სხვა გზით ვადამდე შეწყდეს მისი საპრეზიდენტო უფლებამოსილება. ასეთ შემთხვევაში საქართველოს კონსტიტუციის 76-ე მუხლით საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობას შეასრულებს პარლამენტის თავმჯდომარე. თუკი ეს არ მოხდება და მიხედვით სააკაშვილი გააგრძელებს საპრეზიდენტო უფლებამოსილებას, მაშინ 2013 წლის 20 იანვრის შემდეგ საქართველოს აღარ ექმნება ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი და შეიქმნება სრული საკონსტიტუციო ვაკუუმი და გაუგებრობა.

აღნიშნულთან დაკავშირებით მოგმართავთ და ვითხოვთ, განვიმარტოთ: ხომ არა გვაქვს საქმე თავისი შინაარსით კონსტიტუციის გამოყენების მშვიდობით ან განსაკუთრებით მნიშვნელოვან სამართლებრივ პრობლემასთან. ან ხომ არა გვაქვს საქმე 2013 წლის 20 იანვრის შემდეგ (თუკი მსხვილ სააკაშვილი კვლავ გააგრძელებს პრეზიდენტობას) საქართველოს კონსტიტუციის 71-ე მუხლით მის მიერ დადებული ფიცის დარღვევასთან: რომ ის დაცავს კონსტიტუციას, კეთილსინდისიერად აღასრულებს პრეზიდენტობის მოვალეობას და ა.შ. რაც იმასაც ნიშნავს, რომ პრეზიდენტი ვალდებულია ისარგებლოს საკანონმდებლო ინიციატივის უფლებით და მისი უფლებამოსილების პერიოდში იზრუნოს კონსტიტუციაში არსებული ისეთი წინააღმდეგობის, ორგანიზაციისა და გაურკვევლობის აღმოფხვრაზე, რომელიც ქვეყანას აქცევს საკონსტიტუციო და სამოქალაქო კრიზისში, რამაც შეიძლება გამოიწვიოს სრული სამოქალაქო არეულობა.

საქართველოს კონსტიტუცია უგანოდ არის დასახიზრებული. მასში ძირეული მუხლები ეწინააღმდეგება ერთმანეთს და, რაც მთავარია, ხალხის ნების გამოხატვის საშუალება ამ დოკუმენტით შეუძლებელია.

ჩვენ, მემორიალშით გაერთიანებული ორგანიზაციები ნახევარ მილიონზე მეტი ხელმოწერის სახელით ვიბრძობთ არა კონკრეტული პიროვნების წინააღმდეგ, არამედ დემოკრატიული პრინციპებისთვის და იმისთვის რომ ქვეყანას ავაცილებოთ სამოქალაქო დაპირისპირება, რომლისკენაც დღეს ქვეყანა მიჰყავს პრეზიდენტად წოდებულ პიროვნებას.

ჩვენ, მემორიალშით გაერთიანებულ ორგანიზაციებს გადაწყვეტილი გვაქვს ხელმოწერების

შეგროვება გავაგრძელოთ 5 იანვრამდე, 4 იანვარს კი ვიკრიბებით პრეზიდენტის სასახლესთან. ამით ვადასტურებთ ჩვენს პატივისცემას დემოკრატიული პრინციპებისადმი, ვადასტურებთ იმას, რომ საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული 5 წლიანი საპრეზიდენტო ვადა სრულდება 2013 წლის იანვარში და ვითხოვთ მისთვის სააკაშვილის პრეზიდენტობის დასრულებას. ჩვენი აზრით, ეს აუცილებელია კონსტიტუციურად და ქვეყანაში შექმნილი რეალურიდან გამომდინარე თუ გავაანალიზებთ პრეზიდენტის ბოლო ქმედებებს, მის გამოსვლებს და კომენტარებს გაკეთებულს უცხოეთსა და ქვეყნის შიგნით. აშკარაა, რომ მან დაკარგა რეალობის შეგრძობა და უუნარო გახდა ქვეყნის მართვის თვალსაზრისით. სწორედ მის უუნარობას, მმართველობის აშკარად არადემოკრატიულ სტილს, ძალაუფლებისადმი მის პათოლოგიურ სწრაფვას ქვეყანა სამოქალაქო არეულობისაკენ მიჰყავს.

ბატონო ბიორგი,

დარწმუნებული ვართ, ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობიდან და ჩვენს მიერ დასმული საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, თქვენ შეძლებთ 2013 წლის 4 იანვრამდე უპასუხოდ ჩვენს თხოვნას – გააკეთებთ საკონსტიტუციო განმარტებას პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადასთან დაკავშირებით.

„გაერთიანების მემორიალში“
წარმოდგენილი ორგანიზაციების სახელით:
რეზო ჩხეიძე,
არასამთავრობო ორგანიზაცია „ერთსულსებნა საზოგადოების უფლებებისათვის“
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, კინორეჟისორი, მსოფლიო მშვიდობის ელჩი
მიხეილ ანდლუაძე,
არასამთავრობო ორგანიზაცია „ერთსულსებნა საზოგადოების უფლებებისათვის“
თავმჯდომარე
თიმიშრაზ შაშიაშვილი,
პოლიტიკური პარტია „თურები“-ს თავმჯდომარე
ბიზო შარვაშიძე,
აფხაზეთში განსაფრთხილებელი ჰუმანიტარული პროგრამების ფონდის თავმჯდომარე
ფარდინაზ ლორთქიფანიძე,
„ქართულ-ოსური მისიის“ თანათავმჯდომარე
ნიაზ ბოლქვაძე,
ატარის მამულიშვილთა საგვარეულო
კავშირის თავმჯდომარე
ელმურაზ ბურღული,
არასამთავრობო ორგანიზაცია „ერთსულსებნა საზოგადოების უფლებებისათვის“
სამეთვალყურეო საბჭოს წევრი
24 დეკემბერი, 2012 წელი

უღტბიმატუმი

პრეზიდენტ სააკაშვილისადმი საქართველოს ხალხის უნდობლობის საფუძვლები:

პირველი გვერდიდან

1. მან მოახდინა სახელმწიფოს ხელისუფლების აბსოლუტიზაცია და მონოპოლიზაცია, თავის ხელში მოაქცია განუზომელი ძალაუფლება, დაამყარა ავტორიტარული და ავტორიტარული რეჟიმი, ადამიანის და არა სამართლის მმართველობა; უგულვებელყო საქართველოში სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპები, ხელისუფლების გადაწვევა, ხელისუფლების განსტეობა კონტროლისა და ბალანსის სისტემა, რთაც საფუძველი გამოაცალა კონსტიტუციურ რესპუბლიკურ მმართველობას საქართველოში;

2. მან დაამცრო და დააკინა სასამართლო ხელისუფლება, არარად აქცია სასამართლოს დამოუკიდებლობის კონსტიტუციური გარანტიები, რომელთა საფუძველზეც სასამართლო ხელისუფლების განმტკიცებისა და გაძლიერების, და მასთან ერთად – სამართლიანი მართლმსაჯულების დამკვიდრების ტენდენცია შეუქცევადად მიგანდა. იმის მაგივრად, რომ ყოველივე ელონა სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად, სასამართლო მან აღმასრულებელი ხელისუფლების პირისფარულად დაიყენა; მოსამართლეობა დევნის, დაშინების, ტერორის, მოსყიდვის სხვა ხილული თუ უხილავი მეთოდებით, იგი გაბატონებული პოლიტიკური ელიტის მამულად გადაქცევილებათა მორჩილ აღმსრულებლად გადააქცია; ნაკლა მათში დამოუკიდებლობის ყოველგვარი განცდა და მოთხოვნა, რთაც ნიადაგი გამოაცალა საქართველოში სამართლიან მართლმსაჯულებას, სასამართლოსადმი ხალხის ნდობას, აღუკვეთა ადამიანებს მართლზომიერი მოლოდინი სამართლის და სამართლიანობის მიღწევისა, გასწირა ისინი უკანონობის, დაცუელობისა და უსამართლობისათვის;

3. მან შექმნა ხელისუფლების კორუფციული სისტემა, რომელშიც საზღვარი არა აქვს განუკითხობასა და ჩინოვიკების თვითნებობას, სადაც ყველაფერს განსაზღვრავს მმართველი პარტიის ეგოისტური მისწრაფებანი, ჟინი და ახირება, არათუ საერთო ეროვნული და სახელმწიფოებრივი ინტერესები; სადაც უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა მიღებაზე ზეგავლენის მოსახდენად (სულერთია, საზოგადოებრივი ცხოვრების რომელ სფეროს შეეხება – ჯანმრთელობის დაცვას, განათლებას, მეცნიერებას, კულტურას და სხვ.) სრულიად ამაოა ყოველგვარი ძალისხმევა საზოგადოებრივი აზრისა, სადაც იდევნება ქართული, ეროვნული ცნობიერება და სულიერება, სადაც არასოდეს ხდება ხელისუფლებისაგან განსხვავებული და

ვით უმეტეს, უმცირესობის აზრის გათვალისწინება, საზოგადოების განსხვავებული ფენების, ინტერესთა ჯგუფების, მათი მოსაზრებების, ინტერესებისა და სამართლიანი მოთხოვნების თანაზომიერი გათვალისწინება, რის გარეშეც შეუძლებელია სამოქალაქო საზოგადოების არსებობა, ქვეყანაში მშვიდობის, პარმონისა და თანხმობის დამკვიდრება.

4. მან, მის მიერ დანერგილი მართვის მანკიერი სისტემით და ფორმებით შებადა ადამიანის ღირსების უფლება, ადამიანთა თანასწორობა, დაამკვიდრა ნეპოტიზმი და დისკრიმინაციული გარემო პოლიტიკური შეხედულებების, ასაკობრივი ცხოვრების თითქმის ყველა სხვა სფეროში; საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელსაც დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია სამშობლოსათვის, ჩამოაშორა აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებას და უმოწყალოდ მოისროლა სანაგვეზე „უსარგებლობისა და ჩარეცხილების“ მორალურად დამორგუნევი სტატუსით; ამით წართვა მას ღირსეული ცხოვრების უფლება, პროფესიული დასაქმების, წინსვლის, პიროვნების განვითარების შესაძლებლობათა რეალიზაციის, ბედნიერებისაგან სწრაფვის უფლება და გასაქანის;

5. მან, თავისი მოქმედებითა თუ უმოქმედობით ფეხქვეშ გათელა ადამიანის ძირითადი უფლებები – სიცოცხლის, საკუთრების, თავისუფალი არჩევნების უფლებები, აზრის გამოხატვის თავისუფლება და სხვა. მისდამი დაქვემდებარებული სამსახურები და მის მიერ მართვადი მედიასაშუალებები გამოიყენა თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა დევნის, შევიწროებისა და ანგარიშსწორებისათვის, დეზინფორმაციის მეშვეობით საზოგადოების დატერორებისათვის თავის არაგონივრულ და უკანონო ქმედებათა გასამართლებლად. მან შექმნა უკანონობისა და განუკითხობის ატმოსფერო, სადაც ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ხელისუფლების ბოროტად გამოყენებითა თუ ხელისუფლების გადაქცევით, ადამიანის უფლებათა აღმაშოთხელი დარღვევები, მათ შორის – ადამიანთა მკვლელობა, მათი ფიზიკური, თუ სულიერი დასახინრება, უკანონო პატიმრობა, ტუსადთა ცემა, წამება, თუ უტიფარი მოპყრობა, უდანაშაულობის პრეზუმციის უტიფარი დარღვევა, მშვიდობიანი მიტინგებისა და მანიფესტაციების დაუზოგავი დარბევა, ადამიანთა წინააღმდეგ გადაბეჭვული ძალის, ან მისი უსაფუძვლო გამოყენება, საქმეთა გამოუძიებლობა სახელისუფლებო კრიმინალის დასაფარავად, ტელეკომპანიების დარბევა, მედიის საშუალებებზე პოლიტიკური ცენზურა და კონტროლი, საკუთრების თვითნებური ჩამორთმევა, ადამიანთა დაშინება, შანტაჟი, მუქარა, პრო-

ვოკაცია და სხვა ათასგვარი დანაშაული, სრივი, მზაკვრობა, შენიღბული თუ შეუნიღბავი უკანონობა. ყოველივე ამით მიხეილ სააკაშვილმა არარად აქცია პიროვნების თავისუფლება და ხელშეუხებლობა, კანონი და სამართალი, აბუნად აიგლო საკუთარი ქვეყანა და ხალხი;

6. მან შექმნა სახელმწიფო რეკეტის კორუფციულისი სტემა, არაკონკურენტული გარემო, ნიადაგი გამოაცალა თავისუფალ მეწარმეობას, გაასხვისა ქვეყნისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ობიექტები. ყოველივე ამით გამოუსწორებელი ზიანი მიყენა ქვეყნის ეკონომიკურ დამოუკიდებლობასა და სიცოცხლისუნარიანობას, დიდი ხნით დააბრკოლა მისი ადმავლობა და განვითარება.

7. მან, ხელისუფლებას ხარბად დაწაფებულმა, არაერთგზის, უკანონოდ და არამიზობრივად გამოიყენა სახელმწიფოებრივი სახსრები და მოახმარა იგი თავისი ძალაუფლების შენარჩუნებასა და განმტკიცებას, მმართველი ოლიგარქიის ინტერესებს, გარეგნულ ეფექტებსა და არაჯანსაღ სახელისუფლებო ამბიციებს, ძვირადღირებულ საპრეზიდენტო რეზიდენციებს, პირად კეთილდღეობას, ხელისუფლებით ტყობასა და განცხრომას და, თავისი მაგალითით საქვეყნოდ დადასტურა, რომ „ხელისუფლება რჩვის, ხოლო აბსოლუტური ხელისუფლება რჩვის აბსოლუტურად“;

8. მან, თავისი უპასუხისმგებლო და უგუნური მოქმედებით შეგნებულად აპყვარა, რუსეთის გარკვეული წრეების პროვოკაციას – საქართველო ჩააბა უაზრო, დამღუპველ ომში, რასაც შედეგად მოჰყვა საქართველოს დიდძალი ტერიტორიის ოკუპაცია, საქართველოს შეიარაღებული ძალებისა და სამხედრო ტექნიკის მნიშვნელოვანი ნაწილის განადგურება, ათასობით ადამიანის სიკვდილი, უსახლკაროდ და უსასოოდ დარჩენა, უზარმაზარი მატერიალური და აუნაზღაურებელი ეკოლოგიური ზიანი.

ამით მიხეილ სააკაშვილმა კიდევ უფრო გაართულა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი მოლაპარაკებებით, პოლიტიკური საშუალებებით აღდგენის პროცესები; საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე საქართველო წარმოაჩინა არასერიოზულ და არასაიმედო პარტნიორად, დააბრკოლა საქართველოს ინტეგრაცია ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სამხედრო უსაფრთხოების საერთაშორისო სისტემაში.

ყოველივე ამით, პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა შელახა თავისი სამსახურის სიწმინდე; შებადა პრეზიდენტობა, უდალაცა მისი, როგორც პრეზიდენტისადმი გამოხატულ ნდობას, იმოქმედა საქართველოს კონსტიტუციის, სამართლის უზენაესობის,

სიმართლისა და სამართლიანობის საწინააღმდეგოდ, ქართველი ერისა და ქართული სახელმწიფოსათვის აშკარად საზიანოდ.

ყოველივე ზემოთაღნიშნული ეხება სააკაშვილის საქმიანობას 2012 წლის 1 ოქტომბრამდე. სამწუხაროდ, ოქტომბრის შემდგომ მან საბოლოოდ დაკარგა რეალობის შეგრძნება, დაუპირისპირდა საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობით არჩეულ ხელისუფლებას, პრეზიდენტმა თავი გამოაცხადა ოპოზიციის ლიდერად, მაშინ, როცა დღემდე კონსტიტუციის შესაბამისად, რჩება ქვეყნის უმაღლეს მთავარსარდად. დაბეჯუთებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ასეთი კაზუსი უნიკალურია კონსტიტუციის მქონე ქვეყნისათვის. პრეზიდენტის უკანასკნელი პერიოდის ყველა ქმედება არის ქვეყნის და ხალხის საზიანო და მკაფიოდ ადასტურებს, რომ ის არაა დეკლარაია და სრულიად უუნაროა ქვეყნის მართვაში. ფაქტია ისიც, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი თავისი „სახალწლო მილოცვით“ საერთოდ გავიდა საკონსტიტუციო სივრციდან, გაემიჯნა ქართველ ხალხს და თავადვე დაადასტურა, რომ იგი ამ ქვეყნის კანონიერი პრეზიდენტი აღარ არის!

საკაშვილის ასეთი საქციელისათვის, რომლის მიზანია ბრძოლა საგარეოსათვის და არა ქვეყნისათვის, საქართველოს ხალხი სრულ უნდობლობას უცხადებს მას, მიიწვევს რომ ის ვეღარ გამოდგება თავისუფალი ქართველი ერის მმართველად.

ქართველმა ხალხმა გამოხატა თავისი უდრეკი ნება და არჩევნებით გადაწყვიტა თავისი შემდგომი პოლიტიკური ბედი, რათა ერთხელ და სამუდამოდ, მყარად და საიმედოდ დაამკვიდროს თავისუფლება, თანასწორობა და სამართლიანობა საქართველოში.

თუ სააკაშვილი იგნორირებას გაუკეთებს ხალხის ნებას, და საქართველოს კონსტიტუციას, არ მიიღებს ქვეყნისათვის აუცილებელ გადაწყვეტილებას და, 2013 წლის 20 იანვარს, მისი არჩევიდან ხუთი წლის ვადის გასვლისთანავე, არ გადადგება, მაშინ საქართველოს მოქალაქეები შექმნიან ისეთ მდგომარეობას, რომ სააკაშვილი ვერ მოახერხებს ხელისუფლების ძალადობით მიტაცებას!

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით მიხეილ სააკაშვილი 2013 წლის 21 იანვრიდან საქართველოს პრეზიდენტი აღარ არის, რაც სრულ თანხვედრაშია საქართველოს მოქალაქეთა ნებასთან და დადასტურებულია უმრავლესობის ხელმოწერით.



07.10.2007



08.08.2008




26.05.2010

ღირსება აქვს იმ ხალხს, რომელის არ ითმენს ასეთი პრეზიდენტისა და მხედართმთავარს



ამ კასბა და ვით ალაყუანებლის საფლაპეა და ივისა



ქართული ხელოვნება “ნაციონალური” “ხელოვნება”



მომავალი სისხლზე არ უენდება



26.05.201

გაზეთის უფლები ნომერი გამოვა 20 იანვარს. მასალები მოგვაცდით ელ. ფოსტაზე: ersaufle@yahoo.com

<p>რედაქცია ხელმძღვანელობს თაფისუფალი პრესის პრინციპით. რედაქცია პასუხს არ აგებს ავტორთა მოსაზრებებზე, ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე</p>	<p>რედაქციის მისამართი: თბილისი, პეპინოს ქუჩა №34 სარეგ. № ტელ. 577 41 42 41 294 55 42</p>	<p>მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალალანი სარედაქციო საბჭო: რაზო ჩხეიძე, გიგა ლორთქიფანიძე, ზურაბ ჯორბენაძე, ავთანდილ იოსელიანი, ქეთი ყვალაშვილი, ფარდინა ლორთქიფანიძე. ტექნიკური რედაქტორი: მისიელ ჩოქრიშვილი გაზეთის მენეჯერი: კორნელი ანდლულაძე</p>	<p>გაზეთ “ერთსკოვნება” საზოგადოების “უფლებებისათვის” ვებგვერდი – WWW.ersaufle.ge დაბეჭდილია შპს “რეი ლაითი“-ს სტამბაში</p>
---	---	---	---